საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011711944516623

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405

 # 74279 **07 / აპრილი / 2023 წ.**

თორნიკე ჩიხლაძეს
(პირადი ნომერი: 01019070643)
ელ ფოსტა: foi+request-1437-ed6215e9@askgov.ge

ბატონო თორნიკე,

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - „სააგენტო“) საქართველოს იუსტიციის სამინისტრდან №36859 მომართვით შემოსული (სააგენტოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ნომერი: 83689/17, თარიღი: 04.04.2023 წელი) პასუხად, რომლითაც მოთხოვნილია ინფორმაცია უძრავი ქონების გადაფორმების და ტრანზაქციის თაობაზე, გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს ფუნქციურ-სამართლებრივი ნიშნით შექმნილ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის კომპეტენცია და უფლებამოსილებანი განსაზღვრულია „საჯარო რეესტრის შესახებ“საქართველოს კანონითა და სააგენტოს დებულებით.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სააგენტოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს რეგისტრაცია. ამავე კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირდება: ა) საკუთრება; ბ) აღნაგობა, აღნაგობის უფლების იპოთეკით დატვირთვა; გ) უზუფრუქტი; დ) სერვიტუტი; ე) იპოთეკა; ვ) ქირავნობა, ქვექირავნობა; ზ) იჯარა, ქვეიჯარა; თ) თხოვება; ი) ლიზინგი; კ) საჯარო სამართლით გათვალისწინებული სარგებლობასა და მფლობელობასთან დაკავშირებული უფლებები; ლ) უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებები; მ) სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ უპირატესი შესყიდვის უფლება; ნ) უპირატესი შესყიდვის უფლება.

გამომდინარე იქიდან, რომ მესაკუთრის ცვლილება შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ტრანზაქციისა და უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, მონაცემების დამუშავებისთვის, დასაზუსტებელია მოთხოვნა ტრანზაქციის სახეებთან დაკავშირებით - კონკრეტულად, რომელ ტრანზაქციებთან დაკავშირებით მოითხოვთ სტატისტიკური ინფორმაციის მოწოდებას; ასევე, გთხოვთ, დააზუსტოთ, რომელ ქალაქებთან დაკავშირებით გსურთ რაოდენობრივი ინფორმაციის მოწოდება ზემოაღნიშნულ ტრანზაქციებთან მიმართებით. რაც შეეხება ეროვნების მიხედვით სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას, გაცნობებთ, რომ მიმდინარე კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მესაკუთრის ეთნიკური კუთვნილების ჭრილში რეგისტრაციას.

პატივისცემით,

საინფორმაციო სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

თათია გაწერელია